1961 / 2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 13 (136) 10 მაისი 1961 წელი


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები


განყოფილება პირველი

199. შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას შორის.

200. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

201. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ.

განყოფილება მეორე

202. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. გ. გრიაზნოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

203. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

204. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. მ. მოკროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

205. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოლტავის ოლქის კრემენჩუგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ს. კ. ბოიკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების ჩამორთმევის შესახებ.

206. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ბელიავსკის, მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

207. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ჩიქოვანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

208. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელდროშოვანი ყინულმჭრელი გემის „ა. სიბირიაკოვის“ ეკიპაჟის წევრების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

209. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის პროფესორ ვ. ი. ედელშტეინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

210. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

### განყოფილება მესამე
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის“ დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### 199 შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას შორის

ისწრაფვიან რა სსრ კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და ურთიერთგაგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის მთავრობამ და გვინეის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტეს დადონ კულტურული შეთანხმება, რომლის მიხედვით ორივე მხარე შეეცდება სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე განავითაროს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის.

#### მუხლი I

იმ პირობით, თუ თითოეული მხარე თანახმა იქნება, შეთანხმების დამდები ორივე მხარე განახორციელებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, უმაღლესი განათლების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის დარგში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას კულტურული, მეცნიერული, სპორტული, სტუდენტთა, ახალგაზრდობის და სხვა დელეგაციების გაგზავნის გზით; წაახალისებს მათი ხალხების მიერ მეორე მხარის ხელოვნების ურთიერთგაცნობას და ამ მიზნით მიიწვევს მუსიკალურ და თეატრალურ კოლექტივებს, მსახიობებს, მოაწყობს თეატრალურ წარმოდგენებს, კონცერტებს, მხატვრულ გამოფენებს, ლექციებს და ა. შ.

#### მუხლი II

შეთანხმების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა აღმოუჩინოს ურთიერთდახმარება მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურისათვის ეროვნული სპეციალისტების მომზადებაში, როგორც უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლების შესაძლებლობის შექმნის გზით, ისე სასწავლო სტაჟის გავლის შესაძლებლობის მიცემის გზით.

#### მუხლი III

შეთანხმების დამდებ ორივე მხარეს სურს განახორციელოს სტუდენტთა, როგორც უმაღლესი და საშუალო, ისე სხვა სასწავლებლების მასწავლებელთა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკთა ურთიერთგაცვლა.

#### მუხლი IV

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე მეორე მხარის სტუდენტებს მისცემს თავისი ქვეყნის სასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში ადგილებისა და სტიპენდიების გარკვეულ რაოდენობას, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობს მეორე ქვეყნის მოქალაქეებს შევიდნენ თავის სასწავლებლებში და მეცნიერულ დაწესებულებებში სასწავლებლად ან გადასამზადებლად.

### მუხლი V

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე მოცემულ ქვეყანაში არსებული კანონების შესაბამისად და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს თითოეული მხარის თანხმობა, ხელს უწყობს თავის ქვეყანაში მეორე მხარის მეცნიერული დაწესებულებების და კულტურული ორგანიზაციების საქმიანობას.

### მუხლი VI

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ხელს შეუწყობს კონტაქტებს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა, მუზეუმებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებებს შორის.

### მუხლი VII

შეთანხმების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა შექმნას ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები მეორე მხარის მიერ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში გამოცემულ წიგნებისა და ბროშურების თარგმნისათვის.

### მუხლი VIII

შეთანხმების დამდები ორივე მხარე კისრულობს განამტკიცოს თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ბეჭდვითი სიტყვის, კინოსა და რადიოს დარგში ჟურნალისტთა, რადიოსა და კინოს მუშაკთა დელეგაციების გაგზავნის გზით, ხელი შეუწყოს ეროვნული ფილმების ურთიერთმიქირავებას, კინოფესტივალების მოწყობას, აგრეთვე კინოფილმების ურთიერთგაცვლას.

### მუხლი IX

შეთანხმების დამდები ორივე მხარე გაცვლის მუსიკალურ, მხატვრულ, სპორტულ, მეცნიერულ-შემეცნებით მასალებს მხარეთა შეხედულებისამებრ რადიოგადაცემებში მათ გამოსაყენებლად.

### მუხლი X

შეთანხმების დამდები ორივე მხარე კისრულობს ხელი შეუწყოს სპორტული ურთიერთობის განვითარებას, წაახალისებს რა თავიანთი ქვეყნის გუნდების ურთიერთვიზიტებსა და შეჯიბრებას, აგრეთვე წაახალისოს სსრ კავშირის მოქალაქეთა ტურისტული გამგზავრება გვინეაში და გვინეის მოქალაქეთა — საბჭოთა კავშირში.

### მუხლი XI

შეთანხმების დამდები ორივე მხარე, თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობს თავისი ქვეყნის სათანადო სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მეორე ქვეყნის ენის, მისი კულტურისა და ლიტერატურის შესწავლას.

### მუხლი XII

ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება სპეციალური შეთანხმება, რეგულირებულ იქნება ნაცვალგების საფუძველზე.

### მუხლი XIII

ამ შეთანხმების განსახორციელებლად ორივე მხარე ნიშნავს თავის წარმომადგენლებს. ეს წარმომადგენლები შეიმუშავებენ კულტურული თანამშრომლობის გეგმებს მომდევნო წლებისათვის და მათი განხორციელების წესს.

### მუხლი XIV

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას თითოეულ ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური წესის შესაბამისად; შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელის მოწერის დღიდან.

შეთანხმების ყოველგვარი ცვლილება კანონიერ ძალაში შედის ორივე ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ხელის მოწერის შემდეგ. თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლება ექვსი თვის შემდეგ ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ასეთი შეტყობინების ჩაბარების დღიდან.

შედგენილია მოსკოვში 1959 წლის 26 ნოემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მაგიერ
ნ. მიხაილოვი.

გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მაგიერ
კეიტა ფოდება

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 15 დეკემბერს; გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 14 მარტს.

## 200 განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაშვებულ იქნას სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება: განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, ხელობის სახით ჩადენილი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა და გასაღებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულისათვის და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის — გამოყენება სამშობლოს ღალატისათვის, ჯაშუშობისათვის, დივერსიისათვის, ტერორისტული აქტისათვის, ბანდიტიზმისათვის, ხელობის სახით ჩადენილი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა და გასაღებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვისაც იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება დაშვებულია აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულებისათვის და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს, ან ახდენენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

2. დაემატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 24-ე მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იგივე მოქმედება ჩადენილი ხელობის სახით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან სიკვდილით დასჯით და ქონების კონფისკაციით“.

3. დაწესდეს, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში, —

ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით დასჯით.

4. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლში შეტანილ იქნას ცვლილებანი და ამ მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება:

1) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ;

2) იმ პირების მიმართ, რომლებისადმი გამოყენებული იყო თავისუფლების აღკვეთისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ ამ პირებმა სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინეს ახალი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;

3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულებისათვის, ბანდიტიზმისათვის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გაუპატიურებისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის, ყაჩაღობისათვის, ქრთამის აღებისათვის, მიცემისათვის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში“.

5. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 24-ე მუხლის შესაბამისად დაწესდეს, რომ სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 1—10, 14, 15, 23—25 და 27 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სასამართლოს განაჩენით დამნაშავეებს სასჯელის დამატებით ღონისძიებად შეიძლება დაენიშნოთ გადასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

6. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებანი და დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 მაისი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 201 სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ სამხედრო წოდებანი:

**საბჭოთა კავშირის მარშლისა**

არმიის გენერალს ფილიპე სერგის ძე **გოლიკოვს.**

**არტილერიის მთავარი მარშლისა**

არტილერიის მარშალს სერგი სერგის ძე **ვარენცოვს.**

**კავშირგაბმულობის ჯარების მარშლისა**

კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-პოლკოვნიკს ალექსი ივანეს ძე **ლეონოვს.**

**ავიაციის მარშლისა**

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკს ევგენი იაკობის ძე **სავიცკის**

**საინჟინრო ჯარების მარშლისა**

საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკს ალექსი ივანეს ძე **პროშლიაკოვს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 6 მაისი.

### განყოფილება მეორე
### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 202 ბ. გ. გრიაზნოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში თავგანწირული მოქმედებისათვის ბორის გიორგის ძე **გრიაზნოვი** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„მამაცობისათვის“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 25 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 203 აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე მიღწეული დიდი საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ური**“:

1. ალექსი პეტრეს ძე **ამბროსენკოს** — ლიანდაგსაგები ამწის მემანქანეს.
2. აქბაი **ურაზბაევს** — ლიანდაგის მუშათა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 27 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 204 ამხ. პ. მ. მოკროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

მინისაგან ორიგინალური ხელსაწყოების და კონსტრუქციების დამუშავებისა და შექმნის დარგში დიდი შრომითი წარმატებებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროქიმიის ინსტიტუტის მინასაბერი სახელოსნოს გამგე ამხ. პეტრე მიხეილის ძე **მოკროვი** დაჯილდოებულ იქნას „**საპატიო ნიშნის**“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 27 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 205 პოლტავის ოლქის, კრემენჩუგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ს. კ. ბოიკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების ჩამორთმევის შესახებ

პოლტავის ოლქის, კრემენჩუგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს სერგი კუზმას ძე **ბოიკოს** ჩამოერთვას **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება, **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ური**“, რადგანაც დაუმსახურებლად მიიღო ეს მაღალი წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 206 ამხ. ი. ს. ბელიავსკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სოციალისტური საკუთრების დაცვის დროს მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის ამხ. ილია სტეფანეს ძე **ბელიავსკი** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 207 ამხ. მ. გ. ჩიქოვანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მიხეილ გერასიმეს ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 208 წითელდროშოვანი ყინულმჭრელი გემის „ა. სიბირიაკოვის“ ეკიპაჟის წევრების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფაშისტურ კრეისერ „ადმირალ შეერთან“ ბრძოლაში წითელდროშოვანი ყინულმჭრელი გემის „ა. სიბირიაკოვის“ ეკიპაჟის წევრების მიერ გამოჩენილი მამაცობისა და სიმტკიცისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

### სამამულო ომის II ხარისხის ორდენით:

1. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ბოჩურკო.**
2. სიმონ თევდორეს ძე **ნიკიფორენკო.**
3. ზელიკ აბრამის ძე **ელიმელახი.**

# წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. ივანე ალექსის ძე **ალექსეევი.**
2. სერაფიმ იზოსიმეს ძე **გერეგა.**
3. ივანე თევდორეს ძე **კოპიტოვი.**
4. ანდრია ტიხონის ძე **პავლოვსკი.**
5. თევდორე ვასილის ძე **სედუნოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 29 აპრილი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 209 ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის პროფესორ ვ. ი. ედელშტეინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო და მებოსტნეობის დარგში სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებასა და სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საპატიო აკადემიკოსს პროფესორ ვიტალი ივანეს ძე **ედელშტეინს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 მაისი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 210 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ასიე ნურის ასულ **აბაშიძეს** — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

2. ასილი ალი ყიზი **ჰასანოვას** — „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოლნისის რაიონი.

3. ფადიმე ფოლადის ასულ **მამულაძეს** — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 5 მაისი.

## განკარგულება მესამე
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ტურკსიბტრანსსტროისა" და სხვა ორგანიზაციების 198 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „ტურკსიბტრანსსტროის" მუშაკები — № 194 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ლიანდაგის მუშა ს. ახანოვი, № 5 ხიდების რაზმის ხუროთა ბრიგადირი დ. ს. ჯუგანი, № 122 აღმდგენი მატარებლის უფროსი მ. ს. ერიომინი, № 137 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ლიანდაგის მუშათა ბრიგადირი ნ. მ. მიკიტჩუკი, ტრესტ „სრედაზსტროიმექანიზაციის" № 14 მექანიზებული კოლონის გრეიდერ-ელევატორის მემანქანე ვ. ი. ფედეში.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 14 კაცი, **„საპატიო ნიშნის"** ორდენით — 30, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** — 70 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 79 კაცი.

* * *

ჩარდჟოუ-კუნგრადის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დამთავრებასა და მუდმივ ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „სრედაზტრანსსტროისა" და სხვა ორგანიზაციების 149 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან ტრესტ „სრედაზტრანსსტროის" მუშაკები: ტრესტის უფროსი მ. ს. ბარანოვსკი, ლიანდაგის მუშათა ბრიგადირი ა. ბეგლიევი და მებეტონე რ. ქენჟაევი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებული არიან ტრესტ „სრედაზტრანსსტროის" მუშაკები: ტრესტის მთავარი ინჟინერი ს. პ. კუკუ-

ლიანი, ლიანდაგის მუშათა ბრიგადირი კ. მატნიაზოვი, სამშენებლო უბნის უფროსი ი. ნ. ნიკიტინი და ლიანდაგის მუშა ა. ტუნგუშბაევი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 17 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 60 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 65 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 211 „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის" დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით დაწესდეს **„საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნი"**.

2. დამტკიცდეს „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის" დებულება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 6 მაისი.

## დებულება

**„საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის" შესახებ**

1. „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში" შეაქვთ ხალხის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა რიცხვიდან, რომლებმაც მოიპოვეს განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარებაში და პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში.

2. „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში" შეტანა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

3. „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში“ შეტანის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დასაბუთებული გადაწყვეტილება ან სამინისტროს, დაწესებულების და ორგანიზაციის წარდგინება;

ბ) საწარმოო, მეცნიერული, შემოქმედებითი ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ვრცელი დახასიათება წარდგენილი პირის დამსახურების ჩვენებით;

გ) ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი და კადრების აღრიცხვის ფურცელი.

(საბუთებს თან უნდა ერთვოდეს სათანადო პროფკავშირული ორგანოს დასკვნა).

4. „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში“ შეტანილ პირებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის სიგელი.

5. „საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნიდან“ ამოღება და სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.